

საკრებულოს წევრის საქმიანობის წლიური ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ნატალია მიძიგური

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: ფრაქცია “ქართული ოცნება-კონსერვატორები”-ს
თავმჯდომარე

ფრაქციის წევრობა: ფრაქცია “ქართული ოცნება-კონსერვატორები”-ს წევრი

კომისიის (კომისიების) წევრობა: განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის

საკითხთა კომისია; ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხთა კომისია;

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): პროპორციული წესით

საანგარიშგებო პერიოდი: 2019 -2020 წელი

განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი: სულ გაიმართა 10 სხდომა , აქედან 7 სხდომას ვესწრებოდი;
2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა:
88 საკითხი;
3. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა:
1. 29.05.20 სხდომის ერთი საკითხი, კერძოდ : ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს“ამბასადორი ბათუმი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით.
4. საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიღო მონაწილეობა ანგარიშის წარმდგენმა:
განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის **8**-დან **5** სხდომაში მივიღე მონაწილეობა;
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისიის **3** სხდომა ჩატარდა, აქედან **3** მივიღე მონაწილეობა;
5. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიაზე **16** საკითხი;
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისიაზე **3** საკითხი;
6. საკითხები, რომლებსაც კომისიების სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის

წარმდგენმა:

ყველა საკითხი ორივე კომისიაზე ჩემს მიერ იყო მხარდაჯერილი, მაგრამ მქონდა რიგი შენიშვნები და მოსაზრებები რაც გაითვალისწინა კომისიამ;

7. ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები:
8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა:
ყოველ სამუშაო დღეს , თემატური შეხვედრები ;
9. ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა:
პანდემიის გამო შეხვედრები შემცირებულია,ძირითადათ იმართება სატელეფონო კომუნიკაცია.
10. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები:
სოციალური და ჯანდაცვის საკითხებში გარკვევა და მხარდაჭერა.
11. სხვა განხორციელებული საქმიანობები :

მე გახლავართ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 3 (სამი) კომისიის წევრი კერძოდ:

ქ.ბათუმის მერიის განათლების და კულტურის კომისიის წევრი - ქვეპროგრამა “კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა “ დაფინანსების ფარგლებში.

ქ.ბათუმის მერიის განათლების და კულტურის კომისიის წევრი- ქვეპროგრამა “ხელოვანთა ხელშეწყობის“ დაფინანსების ფარგლებში.

ქ.ბათუმის მერიის განათლების და კულტურის კომისიის წევრი- საერთაშორისო - ფესტივალებისა და სპორტული ღონისძიებების შესარჩევი კონკურსის „თანაბარი შესაძლებლობები-განვითარების ინიციატივები“ კომისიის წევრი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

12.ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა:

სამწუხაროდ, მსოფლიოში არსებული პანდემიის (COVID-19 ვირუსის) გამო, შექმნილი რთული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, ღონისძიებების აღნიშვნა და მათზე დასწრება შეზღუდულია, აქედან გამომდინარე სხვა სახის საქმიანობა და აქტივობა არ განხორციელებულა.

შედეგი, ეფექტი:

მიღებული იქნას პოლიტიკური გადაწყვეტილებები მსოფლიო პანდემიით გამოწვეული კრიზისის გათვალისწინებით, შემუშავებული იქნას ისეთი პროგრამები/სტრატეგიები რომლებიც ასახავს პანდემიის შესატყვის რეალობას, პოსტპანდემიურ გეგმებს ისეთ საკითხებზე როგორცა: თვითმართველი ერთეულის განვითარების პრიორიტეტები, სტრატეგია, ბიუჯეტი, მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნება შესატანი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმებში (LEDP), რომელიც ევროკავშირის ინიციატივით „მერები ეკონომიკური განვითარებისთვის“ ფარგლებში შეიქმნა და სხვა.

შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:

საკრებულოს წევრის კომპეტენციის ფარგლებში გავაძლიერო კონტროლი და ზედამხედველობა საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ჯეროვან შესრულებაზე. მოსახლეობის უფრო აქტიური ჩართვა და მეტი კომუნიკაცია დაგეგმარების პროცესში მათ უშუალო საჭიროებებზე დაღრდნობით. პრობლემების შესწავლა შემდგომი რეაგირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში საკრებულოს სხდომაზე საკითხის დაყენების გზით. ქალაქის გამწვანების საკითხების გააქტიურება, ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი, რეგიონის გაძლიერებაში აქტიური მონაწილეობის მიღება.